




# კ ვ ა ლ ი



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი ზაგომის გამოსცემის კვირა დღეს.

№ 1:3

მ ა რ თ ი, 24 1896 წ.

№ 1:3

\* \*

გათენდა დილა, მაგრამ რა დილა..  
მზემ სიყვარულით მიწას შეხედა  
და, მოხიბლული იმის შეგნებით,  
ტკბილი ღიმილით ცაზე შეჩერდა.

\* \*

მისი სხივები მინდვრებს და ველებს  
განახლებულებს ზე დაეკონენ, *ქალი-ქმედი*  
თითქოს უნდადათ, ამეერიდან  
განუშორებლედ შეერთებოდენ.

\* \*

*ქალი-  
ქმედი*



ეს რა დღე არის?.. ეს  
რა ძალია,  
მაერთებელი ზეცის და  
მიწის?  
—აღდგომა არი, ალ-  
ღომა არი! —  
ბუნების ხმებში პასუ-  
ხი ისმის.





სააღდგამო სურათები

ს ნ ე კ ე ბ ა

ქართლის ცხოვრებიდან

ჩ.ჩ.

**ქ**ოფელ ს—ში ფოთოლადიანთ ნახევრათ და-  
ნგრეული და ადგო-ადგილ დახვსებული  
კოშკი ძველებური სიამაყით გადმოცქერის  
მადლობიდან ირგვლივ მდებარე ახლათ აშწანებულ  
ჭალას, სადაც მიხვევ-მოხვევით მიმოიკლაცნება თეძა-  
მი, ეს მრავალსაუკუნოვანი დარაჯი ამ სოფლისა, ეს  
დამსწრე მემბტანე მკვიდრთა ყოველივე წარსულისა.  
ჭალას გაღმა მდორეთ ვაშლილა, მოღის, მო-  
ღლუღუნებს იგი, ასე გვეგონებათ, რაღაცას მოგვტ-  
ხრობდეს სოფლელების ოდესმე მშვიდსა და მყუდ-  
როთ განვილილ წარსულზე. უახლოვდება-რა ფოთო-  
ლადიანთ კოშკს, აქ კი ბრაზ-მოჩვეულებით აფორდ-  
ება თეძამი, შხუის, ეცემა ხრამში გალომებული და  
ქაფათ ნაქცევი ღრიალით ეჯახება იქიდან კლდის  
უზარმაზარ ნაკვეთებს, თითქო ღამობდეს ამ წყლი-  
დან ამომცქირალ დევების დამსხვრევას, განაღვრე-  
ბას თავისუფლების მოსაპოვებლათ.

ზინდდება... გაზაფხულის თბილი ნიაგი სრია-  
ლით დასთამაშებს ნაზათ ახმაურებულ ჭალას და  
კოშკთან შეფრიალების დროს ჭაბუკურ თავ-დავიწ-  
ყებით ზე-აწყდება ხასხას—ფოთლებით გაყმაწვილე-  
ბულ ბებერ მუხას, ეხვევა მას, ელაზღანდარება...  
მუხა კარგა იცნობს ამ არა-მკითხე მოტრფი-  
ლეს, არა ერთხელ უყენსა მის გაშმაგებულ ხეც-  
ნა-კოცნაში და ამიტომ ახლაც გადაზნექილი, ტო-  
ტბე-გამწერილი შეჭკენისის გოლიათ-კოშკს: „და-

მიხსენ ამ გიჟ-მაჟ არშიყისაგან, რაღა დროს ჩემი ეს  
ამბავიაო“.

მთელემავე ბუჩქებიდან, ტოტბე-გადახუტებულ  
ხეებ ქველიან არე-მარეს ემუქრება სიბნელე.

ზეცა იღუშება. მბეჭუტავი ვარსკვლავები ციმცი-  
მებენ, თრთიან, კანკალებენ, შიშით არ იციან, რა  
ჰქნან, რომ ამ ელემ ქვეყანას ასე ურცხვათ ეპარება  
დასამონავებლათ სიბნელე.

აგერ... განელო რამდენმამე ხანმა და მიდამო  
მთლათ მოიკცა წყედიაღმა. ვარსკვლავებმა მოუხში-  
რეს ციმციმს, თვალებს ახამამებენ, მწუხარების  
ცრემლათ იღვრებია... არსით ისმის ხმა ადამიანისა.  
გააფთრებულ თეძამს, ბაყაყებსა და ჭრიჭინებს დარ-  
ჩენიათ ბურთი და მოედანია...

დღეს, ამ კვტუმეთ ღამეში ყველა, სოფლელებ-  
ბის ქოხებიდან როგორღაც მოაღისფროთ გამოჭე-  
ვის ანთებული ჭრავის სინათლე. ფოთოლადიანთ კოშ-  
კის ახლოა გაჩაღებულ ოთახში დიდი ფუსფუსი და  
საშხალისია.

ფარდაც-ღამაკით გაწყობილ ტახტზე მოკეცი-  
ლი ზის მორთული კენინა ეყვება და დინჯათ, დარ-  
ბისლოური კილოთი ბძანებას აძლევს გოგია-ბიჭს,  
რომელიც აგრეთვე ახალ დაგმარის ახალუშშია გა-  
მოწყობილი და კალთებ აკრეფილი რაღასაც ფოთ-  
რებს ბუზარსა და სულრა ვადაფარებულ მგიდას  
ახლო...

პირადღრენილ და გაქონილ ბუხარში ცეცხლის გიჟიზი, ზედადარზე ნახევრათ სინ-დახურულ ქაბში წყლის ჩხენიზე, მეორე ოთახში მეზობლიანი ქალების კასკის ხმა, ხან დახურულ იქიდანვე ხან აფარდის დარახუნების ხმა, ხან ვარცლადე წამოცურვით ცოპის ტყაუნის, ხან სამტკიცის ხელღმში ტყაუნ-ტყაუნის, ყოველივე ესე რაღაც მხიარულებას ჰქნის ირველივ. ტახტი ახლო დაბლა იატაკზე მოსუცვა ნათლიდელ თელეს და პატარა ხახალზე წაწილის არჩევს; ვეფშიაც, მელიდურობის კილოთი ელაპარაკება დროების გადაუტყდომარებზე, თავი ჩინოვნიკ შვილზე, წვეცილის იმ განათლებას, რომელიც კაცს ამორებს საუფელს, ურღვევს ოჯახს, და გაბიზნულის თვისსა და ტრამს სიცოცხლეს უშინებებს...

— ეჰ!.. გაქვია ბოლოს თავი გულ-ამღერეულმა ვეფშიამ, კაბა აიყცა მუხლებზე და ჩერით ზეთის წასმა დაუწყა კუა-ენდროში ახლათ შეღებულ ცხრცხებს, რომლებიც ეს-ეს არი გოგია-ბიჭმა დიდ ლოგანით მოართვა ტახტზე კენიანს.

როგორა შეენის ღღეს ეფშია მწვანე კუჭებიან თუქსარეში. ტახზე აცეცა, ძველებურათ მსვეკრილი, „მისიანი“ მუქი ყავისფერი „გლასის“ კაბა, წიღზე არტყა ქირმანი შალის სარტყელი და თავზე შეენიერი თეთრი ბაღდადი ახვეცა.

ტახტიდან როგორღაც ყელ-მოღერებით, მელიდურობის გამომეტყველებით გადმოიყურება ეს დალოცვილი. ცხვირი ძალ-დატანებით სასტკიკათ გაუგანებრებდა, ტუნებში უფრო მოუპრუწვეს, გვერდებით ზონარ მავრა გამოწყული ნაოჭ-ასხმული ტრამაკის პირაო. უტბილო ღილიები მავრა მიუტყვია ერთი-ერთიანთისათვის, რის გამო ქალბრა ბოლან-მოსხმული ნიკაბი და შემუშებელი, ბურჩითში ამოსვრილი ცხვირის ბოლო მტრულათ მიჩერებოდენ ერთი-ერთიანთის... ჩანტით შუბლის ტყავი ისე აეკიპნა მალღა, რომ ქალბრა შერთული წარბები მოკაქულ რკალეებით გახდომიდა ეფშიას. კაცების გამოწყულ ნაქეთებს რომ უფრო მიეცათ მის სახისათვის რაღაც გაოცების გამომეტყველება.

ერთი შენდეთ ქვეა ძალოსაც. დამერწმუნეთ, ესე ბედნიერათ ჰკრძნობს ღღეს თავის თავს. გაშვილი წინა ფეხებზე კობტათ წამომჯდარა ბუხრის შორი-ახლოს, ყურები გაუცქვეტა და ცხვირით ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ თვალების მილოღვით ჰაუნსა შინჯავს... ეს-ეს არი გოგია-ბიჭმა შემოიტანა სინთ ომხივარ აღენილი შემწვარი ინდოური და მარჯვნივ დადგა. წარმოიდგინეთ, ამ ინდოურის სუნი დაბნა და საწყალი ქვესა; არ იცის, რა ქნას. თუმცა შეენიერათ იჯდა, მავრამ ევლარ მოისვენა,

დაიწყა ტოკვა, წამუტუნე, ხან წამოეგრდებოდა, ხან შეპყევდა. ბოლოს, როგორც იყო, მიაგნო, საი-დანაც მოხლიოდა მადის მომგვრელი სუნი და მაკიდასკე მიირბინა, უკან ფეხებზე წამოჯდა, გვერენ-ბოლდ, შეხტომას აპირებდა, მოპყვა ხელიწვარეთ წამუტუნს, ყვეას და მალე აწყულ ცხვირ-პირით ხან ინდოურს გადახედავდა, ხან გოგია ბიჭს, თითქო ემუდარებოდაღეს: „რა არი, ადამიანო, პატარა მომეგდო“.

— „პოშოლი!..“ ერთბაშით დაუყვირა ვეფშიამ და გოგია-ბიჭს გარეთ გაავღებინა მსუნავი ქვენა. ორათ ორი რუსული სიტყვა იცოდა ვეფშიამ — „პოშოლი“ და „მალღი“, ისიც ამ ცოდნას მარტო უბედურ ქვეცოზე იჩინდა ხოლმე. შესანიშნავი იყო, რომ ძალის თავის დღეში ქართულათ არ დაეღაპარაკებოდა ეს დარბაისელი ადამიანი, თითქო დარწმუნებული იყო, რუსულათ უფრო გავგონებო.

— შეილო გოგი, კმარა, არ ჩახარშოს გოკი, აბა, ქაფქირით ამოსწიე, ორი თითით ტყავი გაუშინაჯე, თუ აღვილათ ეჩქლითება, საცმარისია ხარ შენ!..

— მიეცო, ღღეო, მაშა, აი, თქვენ კი შეგიტყვით ეგ ქალობა, რა უყვით ქაღები, ნახუქები; მალე, მალე, ჰა!.. საცაა ზარების რყაც ატყდება.

— ნუშა, შეილო, რა იქნა გიგლა ბიჭი, აბა გახებდე, გენაცვალოს ჩემი თვალები, იქნება იმ წუწქმა ჯვრაც არ შეება ურემში ხარები?

— ურემი მშათ გახლაეთ, ქალბატონო. თითონ გიგლაი კი იქითა ოთახის კარებში ჩამდარა და გოგოებს ეღტვირება. რა იცოდეთ, ქალბატონო, ახალ ქალაქურ ჩოხაშია გამოწყობილი.

— აღდგომაა, შეილო, მაშ, ამენდ, შენც აკი მორთულხარ. ამ სიტყვებით ვეფშია წამოჯდა, სკე-რიდან ამოილო თეთრი აბრეშუმის შალი, სუზანი, ეკლაპტარი და წერილი სანთლები გოგია-ბიჭებისათვის დასარაგებლათ.

— ნათილოდ, ენალი ჩააგე, გენაცვალე, ურემში, ზედ სუზანი გადაწალე და აგე ორი ბალიში რომ ღღეს, შიგვე მიაწყ-მოაწყე. თეკლე გავიდა ბძანების ასასრულებლათ და ვეფშიაც თან გაჰყვა შალ-წამოსხმული.

— უჰ, რა ბენლი ღამეა, დაძახა კენიანს და ისევ უკან შემოაძინძულდა. გოგლი, შეილო, შენ ფარნით უნდა წამოხვიდე, ვა გავეცკლიო, თორემ ხარები სადმე გადაგჩენენ... ერთი გახებდე, რა ეუკუშათი ღამეა!..

იუჰ!.. მენ კი გაიხარე, შეილო, რა შეენიერათ მოვიგზარშავს ეს გოკი...

— მოგვაქე, მოგვაქე, ჩენი დანაშაღიც.

*Handwritten signature or note at the bottom of the page.*

ერთხმათ შესძახეს ფერად კაბებში გამოწყობილმა ქალებმა და სინებით ქადა-ნაზუქები დალაგეს სხვა-და-სხვა სანივავით აჭრელებულ სუფრახე.

— მამ, აბა, შევეუდგეთ გზას, გოგოებო თავსახევი მოიხეივთ, თველფან, შენ ხომ არ წამოხვალ წირვაზე, გაგავე, დასუფთო-ვე აქაურობა, ხომ იცი, ნათლიდელ, მოძღვარი და მთავარი ყოველთნინ ჩვენ სახლში ისინიღებენ ხოლმე... ყველანი ჩალაგდნ ურემში, გიგლა-ბიჭი კონტათ შემოუჯდა ურმის თავს, ეტყობოდა ამ საძაგელს, რომ გოგოებს თავს აწონებდა.

— ხი მამ!.. ერთი დაუყვირა ხარებს, სახრე მოიმაჩვენა და გაუღდა გზას. ხარების შორი-ახლოს ფარნით ხელში მიდიოდა გოგია-ბიჭოც...

ზეცა მტრედის-ფრათ იღებებოდა. ნათლით იძლეოდა მტერი, ხალხში წყვედიადთ წოდებული. იგი იქსაქმებოდა, მუქ ზოლებათ ერთობოდა შორს, შორს, მთაწინდორს, როდესაც გაისმა პარველათ მტეტხიდან ზეინი-შვობლის ეკლესიის ზარას ხმა.

ამ ხმას ბანი მოსცეს სასიხეთის, ბარანბიანთ-კარისა და ახალ-ქალაქის ეკლესიების ზარებმა და მოედგა საქრისტიანო მთა-ბარს ყოველ მხრივ გამახალისებელი გუგუნეი. შეინძრა ხალხი... ვალაქანი და ეკლესია ხალხით ივსება. ყველა სადღესასწაულოთ არის გამოწყობილი, ყველას ღიმი უქრის სახეზე, რალც გამოუტყემელ ნეტარებას ჰკრძნობს დარეს მათი გული. საღლა გაქრეება, დარდი და ეარამი? ყველა განქარდა, დაიწყებას მიეცა... აჰა!.. ბედნიერი წუთი, „ტერით-მძიმენო და მაშვარლო!“ თქვენც გვიღრსათ წამი ბედნიერებასა, წამი ნეტარებისა. ის იყო ლიტანია თავედოდა, როდესაც ქი-ის კართან გაჩერდა ფოთოლაძიანთ ურემი.

უნდა გენახათ, რა ჭივილ-ხივილი შეუდგათ გოგოებს, როდესაც დაინახეს ვაკაშკაშებული ეკლესია და მიღამო ეკლესიისა ანთებული სანთლებით ხელში ხალხით მოაღწილი. ისე გაერთენ ამ სანახაობით, რომ კნენიაც კი მიავიწყდათ ურემში.

— საღ მიხვალთ, გოგოებო, ახლა აღარ გადმოიპყიანთ?..

— უი, ჩემს თვალებს! აქა-იქ შექვიელეს გოგოებმა, მარდთ მიიბრინეს ურემთან, გადმოიყიანეს კნენია, კელაპტარი აუნთეს, თითონაც ანთებული სანთლები მოირიგეს და ეკლესიისაკენ გასწიეს. გზაში ხალხი დაბლა თავის დაკერით უხვდებოდა კნენიას.

ის იყო, ეფემია შევიდა ეკლესიაში, და დღელმა პირველათ შესძახა ხალხს:

— „ქრისტე აღდგა!“

— „ქრისტე აღდგა!“ გრგინვასავით გაისმა პალახათ.

სხვა-და-სხვა ამბავი.



აბ. „Нон. 1866.“-ის (№ 4199) ქუთათუხ კორესპონდენტი გვატობინებს შემდეგ სურათებს: როგორც ვიცით, 1894 წლიდან ქ. ქუთათისში არსებობს საურთიერთო ცენტრის დამზღვეველი საზოგადოება. 14 მარტს მოხდა საზოგადო კრება ბ. შ. ქიქოძის თავმჯდომარეობით. პირველათ კრებაზე წაუკითხავთ ანგარიში რომლიდან ჩანს, რომ 1895 წ. დაუზღვიათ 12 მამული, ღირებული 354,350 მანეთით; საზოგადოების დაარსებიდან სულ დაუზღვიათ 257 მამული ღირებული 970,750 მანეთით. შემდეგ გამკვირვებულნი მიმართა კრებას: რომ უფრო უზრუნველყოთ მამულის მეგატრონენი მოულოდნელი დიდი ზარალისგან და მიეზიდოთ საზოგადოებაში დამზღვეველნი, სასარგებლო იქნებაო, ჩვენი დამზღვეველი საზოგადოება ვახდეს წვერი პენსიის დამზღვევე ქუთათისში (Пенсионный комитет), რომლის ხელშეწყობაზე შემუშაებული იქნა ივლისში 1895 წ. დროისასაც აქვს ძალა სამი წლის განმავლობაში. ხელშეკრულობის ძალით თავიფებული დამზღვეველი საზოგადოება ხდება მოკავშირეთ და თავის საკუთარი საქმეების მართვაში სრული თავისუფალი ხოლო სარგებლობა ამნაირი შეკავშირებისა იმამდგომარეობს, რომ თუ მოკავშირე საზოგადოება დიდი ზარალი მოუვიდა, მაგ. 20,000 მანათამდის, შემთხვევაში 3,306 მანეთის მეტს არ გადახდებოდანარჩენი 16,694 მ. კი დაიყოფება სხვა მოკავშირეებს შორის, იმის დაკვლათ, ვინ რამდენს იხდეს წლიურ საწევრო ფულსა.

ამის და-გვართ ქუთათისის დამზღვევემა საზოგადოებამ წლიურათ უნდა შეიტანოს ხოლმე 2300 კრებამ ერთხმათ გადაწყვიტა პენსიის კავშირის მონაწილეობის მიღება.



ჩვენ შეეიტყეთ, რომ ბოროტლოს მავრის მავალი თ. გ. და აბნაში შედგომია ახტალის ქართული

ლი ტაძრის განახლებას და ამის გულისთვის სასუ-  
ლიერო მთავრობის ნებადართვით ფულგებს კრეფს.

\* \*

ჩვენ მოგვივიდა ტარუაშვილის მიერ გამოცე-  
მული გოთიური ღედანი; თითო ღედანი ღირს შაუ-  
ჩათ.

\* \*

ჩვენ მოგვივიდა მ. გ. ჯანაშვილის მიერ გამო-  
ცემული წიგნი „შოთა რუსთაველი“. ეს წიგნი  
წრიად საკურადღებოა მკითხველთათვის, რადგან მას-  
ში დატრავებულია თითქმის ყველა მწერლების აზ-  
რები, ვისაც კი ჰქონია ეფუხის ტუასანზე მკაველო-  
ბა. ჩვენ კადეე დაუბრუნდებით უფრო ვრცლათ ამ  
საგანს. წიგნი სუფთათ არის გამოცემული და ღირს  
ორ აბაზათ.


\* \*

პოლიციის უწყებიდან ვტყაბილობთ, რომ გა-  
სულ წელს ქ. თფლისში 27 მკვლელობა მომხდარა  
(23 კაცისა და 4-ი ქალისა), თვი მოუკლავთ 25 (20  
კაცი და 5 ქალს), უფროე მამკვლარა 15 კაცი და  
6 ქალი, მთერალობის გამო 6 კაცი და 3 ქალი,  
გაუკვარა მიზნუნს გამო—5 კაცი და 2 ქალი, უნა-  
ხათ 7 კაცი მკვლარი და 1 ქალი; შვითხვევით მო-  
მკვლარა: გაქვლეთლა და ჩამოვარდნილა 20 კა-  
ცამდე, დამწვარა 2 ქალი, დახხვალა 18 კაცი და  
4 ქალი; გამოურკვეველ მიზნუნს გამო მომკვლარა  
10 კაცი და 1 ქალი. სულ ძალდატანებით და სხვა-  
და-სხვა ხითვის გამო ვადაცვლილა 127 კაცი და  
23 ქალი. საერთო რიცხვი მკვლრებისა ქალაქში ვა-  
სულ წელს იყო 3,112, რომელთაცან 1,787 კაცია  
და 1,325 ქალი. („Кавказ“).

\* \*

კავკასიის სამმერატორო სამკურნალო საზოგა-  
დოება აცხადებს, რომ ამა წლის აპრილის თვიდან,  
გამოეა ორ-კვირეული გამოცემა: „სახალხო ჰიგიე-  
ნური ფურცელი (Популярный Гигиенический Листок)“  
სამ ენაზე: რუსულზე, ქართულზე და სომხურზე.  
გამოცემაში იქნებან მთათესებული, როგორც ორი-  
გინალური, ისე ნათარგმნი სტატებიც, სხვა-დასხვა  
რეფერატები, კორესპონდენციები და სხე, ერთი სიტყ-  
ვით ყოველივე ის, რაც უწყებმა სახალხო სიმთე-  
ულეს, ეპიდემიას, ენდემიას, ეპიზოოტიას და სხე.  
უპირველესი ყურადღება იქნება მიქცეულა იმაზე, თუ

რა გვარი მვენებელ ჩეულებანი და აქიმობას სა-  
შუალებანი არსებობენ ხალხში. „ფურცლის“ რე-  
დაქტორებათ თველებიან ექიმები: პაულაესკი, ვა-  
დამსკი, ბაბაევი, ანწრუნი, ვაწაძე და ელიაშვილი.  
სტატები გააზგაენება შემდეგი ადრესით: Тифлис,  
д-ру А. А. Поволокому.



საყურადღებო ამბები.



სსსქრე. წელს იმ ხელა თოვლი მოვიდა ქუ-  
თისის გუბერნიაში, რომ მგონია მოსწრეც  
იშვიათი იქნება. ამ თოვლმა მეტის მეტათ  
შეაწუხა აბა-სოფლების მცხოვრებლები, რომელთა  
რააცეში მოხდა ეს ჩენი და. სახერეცე აქ 16 იან-  
ერიდან თებერელის 4-ს რიცხვამდის განუწყვეტლივ  
სულ თოვდა და დაყარა თოვლი ცხრა მტკაველზე  
მეტი; აბა, იფიქრეთ, რა ვაქირეებაში ჩავარდებოდა  
მცხოვრებლები? აქ ზამთარი არ იცის ისე სუსბიანი,  
როგორც სხვა საქართველოს კუთხებში და ამის  
გამო ხალხი სულ მოუზადებელი შენება ჩენდა  
მაულოდნელ ზამთარს, ბევრი იმისთანა მოსახლე  
დარხა, რომ სამ სამი ღღის სარჩოც აზა ჰქანდა რა,  
არა თუ ერთი თვისა და მეტის მომარაგებული. მე აქ  
ენახენებ შედლებულებს და არა ღარბ-ღატაკებს,  
რომელნიც ამისთანა შემთხვევის დროს კი არა, ისე-  
თაც სხვისი ხელით იყებებიან. პურის და მეტადრე  
შეშის სიმძირემ სულ მთლათ გათბენდა მცხოვრებ-  
ლების ჯიბეებ; გათხლებას და ვაცარაულებას ეინ-  
და ჩივოდა, რომ დიდი თოვლის გამო ვასაყიდე  
ბაზარში არვის შემოქანდა. მახლობელ სოფლებში  
ისე დიციტა გზები, რომ წისქვილამდის ვერ მადო-  
დენ და მარტო სიმინდის კაკლის ხარშვით ინახე-  
დენ თავს მთელი ორი კვირის განმავლობაში; ამ  
მდგომარეობაში შანაურ პირუტყეს აღარ ზოგავდენ  
დასაკლავათ. გზებზე სულ ყოველ დღე ზეავი ჩამო-  
დის და თან-და-თან ხდება. ფოშტა ავერ ორი თვე  
გაიცის, რაც არ მივივლია და არ ეციოთ, ქვეყანაზე  
რა ამბავი ხდება.

უბედურს კაცს ქვა აღმართში მიეწიაო, სწორეთ  
ისე იოქმის ახლა ამ ჩვენ დაბა სახერეზე. ორი სა-  
მი თვე იქნება რაც ბატონმა ი. გამ—ქემ იყიდა  
ბილიარო და დადგა თვის შერობის ქვედა სართუ-  
ლის სადუქნი თიბში, რომელიც მიმგზავსედა ღა-  
რბიბი-კაცის ცხენების თვალსა, ასე რამ არც ჰქირი  
და არც იატაკი არ მოეძევა. კედლის ფიტრები ისე  
არის დაშორებული ერთი-ერთმანეთსაგან, რომ გო-

60426

ჯის ოდენა სისქე ფიქარი მათმუა თამამთ გაეტევა, ამას ვარდა მეტის-მეტი სიბინძურეა შვე ოთახში. პირველათ მიიჩნია ხალხი უფულოთ თამაშობით და დროის ვატარებთ, ახლა კი ბავიკ დადავ ზედ, ასე რომ თითო თამაშში 5 — 20 კაპ. ვაინარა, მაგრამ რა ხალხი მიიწვია და გავარჯიშდა თამაშობაში, თვითონაც ამ ფულის სიძვირნაიაც ვერ ანებებენ თავს: მაგალათათ, კაცი გამოვიდა ბაზარში შეშის ან სხვა რისამე საყიდლოთ, იმას ავიწყლება თავის დანიშნულება და ოჯახის მდგომარეობა, მიდის იმ საბილიარდო ოთახში, იწყებს თამაშობას, ავებს იმ ორ გროუს, რომლითაც უნდა ეყიდა რამე ოჯახისათვის ჭბრუნდება სახლში გულ დაწყევტული, მერემ კი იწყებს ჯაფრობას, მაგრამ რას ევალება, ნათქვამია სიკვდილის შემდეგ სინანული გვიან არის; ასე რომ დილის შემდინდეთ ნახეთ იმ ოთახს ხალხით სავსეს, რომელიც შედგება ბაზრის მცხოვრებლებიდან, ე. ი. ვაჭრებისაგან და რომელთა აქეთ ფიქრათ გულშინდელი მოზავები ფული ვააორკეცოთ, მაგრამ ბრუნდებათ თავიანთი ღებებში ჯიბე-ცარიელი; საღამოს კი ამ კაცებში იქნება გარეული ადგილობრივი დაბალ ხარისხის მოსამსახურე პარნიცი, რომელნიც ღებულობენ რამოდენიმე თუმანს ჯამაგირს და იმითი სულს იბრუნებენ, იწყებენ თამაშობას, ავებენ იმ ორ გროუსაც და მერემ კი ვიბე ცალიერი დაწანწალობენ ბაზრის ქუჩებზე. ერთმა ამათგანმა კინაღამ დაკარგა ადგილი სამსახურში, ამისთანა მოგებით სუყოველთვის ივებს თეთრან ბილიარდის პატრონი, იფიქრეთ თითო თამაშში 5 — 20 კაპ., საათში ათი მაინც ითამაშებს ეს ხომ ორი მანეთი და ამას ვარდა თვითონაც კარგათ თამაშობს, ასე რომ ამ ცოტა ხანში ბევრმა მიზარა შესანახავათ თავისი ჯიბე, მაგრამ როდის დაუბრუნებს, ის კი ღმერთმა რცის.

არა შეგდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი, ეინ საჩხერე და რა ბილიარდი და იმაზედ თამაშობა. მესმის დიდ ქალაქებში სადაც ხალხი აბრუნებს ათას და ასიათას თუმანს, იქ არაფერია რომ ბილიარდი კაცმა დაღდას და ითამაშოს, მაგრამ აქ, სადაც ხუთ მანეთზე მეტი იშვიათათ ექნება მოთამაშეს ჯიბეში?.. ფუ, დაწყველოს ღმერთმა ამისთანა ადგილას ბილიარდზე თამაშობა! ამისთვის ძრიელ კარგს იხამს ბილიარი ი. გ—ძე, რომ ამ ფულის მახეს მოშლიდეს, ურომლისოთაც მცხოვრებლები მეტათ და ცემული არიან სიღარიბით. —

—ჭკუიჭკა.

აგრეთვე გონებრივათაც, ქონებით ვაზრდა ერთი მხრით იმითაც ჩანს, რომ აქ კლუბი დაარსეს. ამ კლუბს აქვს რამდენიმე ნაკულუღეანება, რომელიც არ შეგვიძლია არ აღინიშნოთ: ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ კლუბის დაარსებით მოკვეცილა საშვალბე ერთთა შევეროვილიყოფათ ჰქუა-გონების სავარჯიშოთ. მაგალიტერატურა-ღმრესკალურ საღამოებს ვავმართავდით, ხშირათ გვექნებოდა წარმოდგენები ქართულ და რუსულ ენაზე, ლექციებს წავგიკითხავდენ სხვა-და-სხვა საკირო და სასარგებლო საკვებზე და სხვა...

მერე მივალწიეთ ამ მიზანს? რა მიზანი, ჩის მიზანი, სხვაგან სად მიულწიეთა კლუბს ზემოხსენებულ მიზნისათვის, რომ აქ მიელწია? სამაგიეროთ მიღობნართ კლუბის დარბაზში და თქვენ წარმოგიდგობათ შემდგი სურათი: ერთ ოთახში მწევანე მადღან მავიდას გარშემო შემოსხლდომიან ბანქოს მოტრუფა ღენი. ახლა მერე ოთახში მიდინართ და შორიდანვე გესმით ლოტოს ცივირების გადამხინჯვებული რუსული ამოკითხვა: ამ დროს ვატარებს მოსდღეს ვახშამი. აი რას მოველოდით და რა შექცნხელში. ეს კიდევ არ გვაკმარეს და ახლა ვაიძახანათას ხუთას მანეთიანი ბილიარდი უნდა გამოვიწეროთო. მერე მაშინ, როდესაც, ერთი ვაჭრით რა არის, ისიც კი არ გამოავიწერია. რომელი ერთ უნდა ჩამოთვალოს კაცმა? იმიოია, ამ საქმის მოთავენი არ დაივიწყებენ სხვა ამზანავებს, რომლებსაც ბანქოს თამაშობის ნაცულათ უფრო საკიროთ მიზნით ჰქუა-გონების ვარჯიშობა. ბევრი ჩვენგანი ამ კლუბის ანაბარას არა ერთ: გვაქვს ორი სამკითხველი — წიგნთ-საცავი. აქ საკმაოთ მოიპაეება, როგორც რუსული, ისე ქართული ჟურნალ-ვახეთებურ კერძოთაც ბევრს მოუღის სხვა-და-სხვა დრო გამოშვებითი გამოცემანი.

ჩვენში უფრო შესანიშნავი და თვალ-საჩინო არის ამ დღებში დაარსებული და მთავრობისაგან ნებადართული საღამომობით უფასო სწავლა რეინის გზის მოხელეთათვის. ნათქვამია: ერთი ჰირი მარგებელია? და სწორეთ ამნაირ ქიარათ გამოდა ზემოხსენებულ კლუბის დარბაზში ამ საგნისათვის. საღამოს 6 საათიდან რამდენ შევენიერ სურათს წარმოადგენს კლუბის დარბაზი: მავიდას შემოსხლდომი ოთხმოცამდე სწავლა-განათლებლის მსურველინი, რომელნიც გულ-მოადგინეთ სწავლობენ. სწორეთ დღმადლობის ღირსი არიან ამ საქმის მოთავენი.

განჯული მეთაველურე.

სად. განჯა. ეს სადგური სწორეთ რომ შესამჩნევათ იზრდება; იზრდება როგორც ქონებრივით,


შ ე ნ ი შ გ ნ ა .



იერ. გულისაშვილის „ილა წერილმა დრა-  
მატიულ საზოგადოების გამგებლისადმი“ („ივე-  
რია“ № 20) ერთი ამავე მომავონა, რომე-  
ლიც საქართვეოთ მიმანინა ეცნობო მკითხველ საზო-  
გადოებას. ამ რამდენიმე წლის წინათ ქ. ბათუმში  
მოამიხდა ყოფნა, სადაც, სხვათა შორის, გეიციანი ერ-  
თი ახალგაზდა ყმაწვილი, გვართ ხაინძრავე, რომელ-  
საც ბათუმის სკენის მოყვარეთა შორის პირველი  
ადგილი ეჭირა და იმედებს იძლეოდა, როგორც მსა-  
ხიობი. ხაინძრავე ცნობილი იყო აგრეთვე, როგორც  
ღრამატურ გიცი: მაშინ ორი პიესა გვეგზავნა კიდეც  
ღრამატული კომიტეტის თავმჯდომარისთვის და მე-  
სამესაც წერდა. მე თვითონ ხაინძრავეს პიესები არ  
წამიკითხავს, ხოლო ეს-კი ცხადთ მახსოვს, რომ ვახ.  
„ ნოე. ობ.“-ში, რომელიც ყოველთვის სიათენე-  
ბით აღნიშნავს ხოლმე ყოველ ახალ მოვლენას ჩვენს  
მწერლობაში, ქებით იყვენ მოხსენებული ხაინძრავეს  
პიესები! კომედია „ევი ვახთაისი!“ და დრამა „რუ-  
არსად აფაქიძე“ დახ, ქებით იყვენ მოხსენებული  
და, უშეძველია, ყოველ ქართველისთვის საინტერესო  
იქნებოდა ამ პიესების სკენაზე ნახვა. მარა მასაქეთ  
აგერ მეექვსე წელიწადია და ამ პიესების სახსენებე-  
ლიც კი აღარსად არის. იტყვიან, იქნება, „ნოე. ობ.“-ემ  
ახალგაზდა ავტორის გასამხსენებლათ შეაქო პიესები,  
თვრა წარმოადგენათ არ ვარგოდერო. შეიძლება,  
ასეც იყო (თუმცა დაუფერებელია ყოველს ღირსე-  
ბას მოკლებული პიესები ისე ექო „ ნოე. ობ.“-ს),  
მარა ვინ გამოცდა ისინი, ვინ წარმოადგინა, ვინ ნა-  
ხა და განსაჯა?.. ერთხელ მაინც რომ წარმოედგინათ,  
საზოგადოებას ენახა და არ მოეწონებია, კრიტიკასაც  
დაუწუნებია, კიდეც ჰო, მარა ეს რომ ასე არ ყოფი-  
ლა და პიესები მაშინვე სადღაც გადაკარგეს!.. საკვირ-  
ველია, დემტომანი, ჩვენი თეატრის საქმე: მის მავიერ,  
რომ სანთლით ეძებდენ ჩვენი ცხოვრებინად აღებულ,  
ორთინალურ პიესებს, რომელნიც თითქმის სრუ-  
ლიათ არ მოიპოვებინ ჩვენ თანამედროვე რეპერ-  
ტუარში, როცა შემთხვევით ხელში ჩაიგდებენ, მა-  
შინაც კი სადღაც მიმადვენ და, თუ იერ. გულისა-  
შვილს დაუფერებთ, წაკითხვითაც კი არ კითხულობ-  
ენ ხოლმე. მოსალოდნელი იყო, ღრამატულ საზო-  
გადოების განაწილებული გამგებმა მაინც მოაქცევდ  
ყურადღებას ამ საქმეს და, ახალ რასმე შეიტარდა  
ჩვენს რეპერტუარში, მარა ასე არ მოხდა. მართა-  
ლია, სეზონის დასაწყისში შეგვიპირდენ ახალი ორთ-  
განაღწერი პიესების დადგმას, მაგრამ სეზონი გათაე-  
და კიდეც და დაპირება არ გაუმართლებიათ. ენახათ,

შემდგომი როგორ მოიქცევიან!.. დასასრულთ ორი  
სიტყვა თვით ბნ ხაინძრავეზე: საბრალო ახალგაზ-  
დამ გამუდმებული უსიამოვნო შრომით თავმოებრე-  
ბულმა ერთ ერთ ბათუმის ქარხანაში, თავი თანება  
თურმე ამ უკანასკნელს და სხვავე წვიდა ბედის სა-  
ცდელათ. უნდოდა თბილისში შესულიყო ქართულ  
სკენაზე, მარა ეს ვერ მოახერხა თურმე და ბაქოში  
წვიდა, სადაც მოუსწრო ხოლოვობამ და, როგორც  
ამბობენ, იმსხვერპლა კიდეც ამ საშინელმა სენმა...  
კარგი იქნებოდა, ვინც ნამდვილთ იცის საბრალოს  
ბედა, აცნობებდეს მკითხველ საზოგადოებას!..

დურუ შკრეა.



მეცნიერება გაკოტრდა, თუ მეტაფიზიკა?

(ბრიუნეტერის დაცვის გამო ჩვენს)



მეVII-დგ თავი სტატიისა: „ცხოვრება და  
ხელოვნება“<sup>1)</sup> „ივერიის“ პუბლიცისტმა,  
ბ. კიტამ, უძღვნა საფრანგეთის „გამოჩე-  
ნილ კრიტიკოსის“, ბრიუნეტერის, დაცვას, ქართ-  
ველ მკითხველს, რომელიც ბ. კიტასავით არ  
არის გათანაშემული უტუო ქვეყნების მწერლო-  
ბაში, დენადება შემდეგი კითხვა: ვინ ბძანდება  
ეს ბრიუნეტერი, და რით დამისხურა მან „გამოჩე-  
ნილი კრიტიკოსის“ და „ნიჭიერი მეცნიერის“ სახე-  
ლო? ბ. კიტა ზემო აღნიშნულ წერილში იძლევა  
რამდენიმეთ პასუხს ამ კითხვაზე. ჩვენც ვისარგებ-  
ლებთ ამ პასუხით, ე. ი. იმით, რასაც ბ. კიტა გვა-  
ძლევს, რომ თვით ამ უკანასკნელის ნათქვამითვე  
მოკლეთ დავახსიათათ ბრიუნეტერი და ამასთანა-  
ვე, ამ გარემოების გამო, რამდენიმე მოსახრებნულ  
წარმოეთქვათ.

პირველთ მკითხველს უნდა ეცნობოთ, რომ  
ბრიუნეტერს აქ ენებით ჩვენ, ისე როგორც ბ. კი-  
ტა, არა როგორც კრიტიკოს, არამედ როგორც ფე-  
ლოსოფოსს, ანუ, უფრო მართლათ რომ ეთქვით,  
როგორც მეტაფიზიკოსს. საქმე იქიდან იწყება, რომ  
წასული წლის „Revue des deux Mondes“ ის პირ-

1) ის, ამ წლის გაზ. „ივერია“ №12 42 და 43.  
სტ. „ესოკრება და ხელოვნება“. ამ ხაირი სათაურით  
მოკვჭავდის ბ. კიტა, უმეტეს ნაწილათ, ამ რომანების  
შინაარსს, რომლებიც არაან ნუყოფენი საფრანკეთის მად-  
ლი პურჟუაზიის მოღუგნული ცხოვრების.

ველ ნომერში ბრიუნეტერის, მას შემდეგ, რაც მან რომში პაპისაგან ლოცვა-კურთხევა მიიღო, დაუბეჭდია წერილი: „მეცნიერება და სარწმუნოება“. თვით ეს სტატია, როგორც ამავე ბრიუნეტერისვე მეორე სტატია: „ევოლიუციონური სწავლის ზნეობრიობა (La moralité de la doctrine évolutive)“ ჩვენ არ წაგვიტოვებს; და ჩვენი მიზნისათვის ეს არც დიდ საჭიროებას შეადგენს, რადგანაც ბ. კიტამ გაისარჯა და საქმარისათვ გადაეცნო ამ წერილების შინაარსი; მეორე მხრით, ჩვენ შემთხვევა გვკონდა გვეცნობოდით ბრიუნეტერის სწავლას ერთი ახალი დაარსებული დრო-გამოშვებითი გამოცემის შემწეობით<sup>2)</sup>; ამ გამოცემაში იყო მოთავსებული სტატია: „ბ. ბრიუნეტერის ევოლიუციონური მეტაფიზიკა“ (La métaphysique évolutioniste de M. Brunetière), რომელიც ეხება ბრიუნეტერის მეორე წერილს, ე. ი. „ევოლიუციონური სწავლის ზნეობრიობას“, და სწორით იმ მხარეს აქცევს უფრო ყურადღებას, რომელიც ბ. კიტას თითქმის სულ უყურადღებოთ გაუშვია. „De devenir social“-ის სტატიის ავტორი, ბ. ნი ბ., თავლეთ განმარტებს ბრიუნეტერის „შებენ-დღეუბნის თანამედროვე მეცნიერებაზე, და რადგანაც ბრიუნეტერის და მის თაყვანისმცემთა სასარონიშნათ ეს უკანასკნელი, ე. ი. მეცნიერება, გამხდარა დღეს, ამიტომ ვგერ-ვგერობით დაეტოვოთ მეცნიერების „გაკოტრება“, რომელიც ბრიუნეტერის პირველი წერილის საგანს შეადგენს, და გადავიდეთ პირდაპირ იმაზე, თუ როგორი შეხედულება შეუქმნია ბრიუნეტერის ბუნებაზე და მის მეცნიერებაზე. ამისათვის ჩვენ ეისარგებლებთ „de devenir social“-ის დასახელებული სტატიით.

I

თავდაპირველათ „de devenir social“-ის სტატიის ავტორი აღნიშნავს, თუ რა შეხედულების არის ბრიუნეტერის დარჩენის და ჰეკლის წინააღმდეგებზე და ამისათვის მოყავს მისივე სიტყვები: „დამიანის წარმოადგომს და ბუნებითი ისტორია შექმნის, ამბობს ბრიუნეტერი, თუ მათ ნამდვილ სახელს ეუწოდებთ, შეადგენენ მხოლოდ მეცნიერულ რომა-

ნებს, არ არის დამტკიცებული, რომ ცხოვეთთა ჯიშნი იცვლებიან, და უმეტესათ არც ის, თუ ისინი გადაიქმნებიან. ან არის დამტკიცებული, რომ დამიანს წარმოადგება ცხოველადან. 4) მაშასადამე რაღა არის ევოლიუციონური მოძღვრება? ეს უბრალო პიპოტეზაა, ანუ უკეთ რომ ეთქვას, ეს შეთოდა. ეს არის საშუალება, რომლის მეშვეობით ჩვენ ვგეროვებთ და რიგ-რიგათ ვყოფთ ფაქტებს და იდეებს, რომლებიც უამისოთ ხელიდან გამოავისსტტებოდენ და დაგვიტენებდენ ჩვენი აზროვნების სისუსტეს“. ამ ნიშნისა ბრიუნეტერი აწინდელი ევოლიუციონური მოძღვრების შესახებ, და მართლა რომ ეს ასე იყოს, როგორც ბრიუნეტერი ამბობს, აწინდელი მეცნიერება მეცნიერულ რომანებს კი არა, უფრო სასაცილო რამეს წარმოადგენდა. მაგრამ ეს ასე არ არის. ჩვენ სრულებით არ ვთლით საქართ, რომ ამნაირ ხეპრულ შეხედულებას დარღვევას გამოუვლდეთ აქ ჩვენივეს ეს მიუწოდებელიც იქნება; და მეორე მხრით, აწინდელი მეცნიერება, ვინც-კი იმას შეიგნებს ვგეროვანათ, განა ყოველნაირი ბრიუნეტერისებრივე შეხედულებათა გამაქარწყლებელი არ არის?

მაგრამ საუბრებელია ის, თუ რისთვის დაჭირდა ბრიუნეტერი თავის ხეპრული შეხედულების გამოაქვეყნება, საფიქრებელია მით უფრო, რომ თითონ იგი მიმართავს ევოლიუციონურ მოძღვრებას და ცდილობს გამოიყენოს ეს უკანასკნელი თავის წინათვე შედგენილი მიზნისათვის. ამას ახლავ დავიხახათ. ბრიუნეტერი ამბობს, რომ „არსებითათ და თავის საფუძველში ევოლიუციონური მოძღვრება არის მხოლოდ ტელეოლოგია<sup>5)</sup> და ორგანიზაცია შესაძლებელია მხოლოდ მიდრეკილებას, დტეოლოგების (finalité) იდეის საშუალებით“. ხოლო ამნაირი შემოტრიალება იარაღისა საჭირო იყო ბრიუნეტერისთვის, რომ მას გარკვევით წარმოეთქვა შემდეგი: „თუ სასტიკი და ვაუგებარი მებნაიხმის წინააღმდეგ, რომელსაც თანამედროვე თავისუფალი აზროვნება დიდ ხანია შეურთავდა, ევოლიუციონური მოძღვრებამ იერ დაამტკიცა განკუბის არსებობა, ის კი ანობლიო მინც, რომ ეს მოძღვრება ამ განკუბის არსებობას შთაგვაგონებს“ (suggère). ყოველწმ ეს იმიტომ, რომ ამ განკუბამ წარმოშობას მოძრა-

<sup>2)</sup> იხ. Revue des deux Mondes, 1895, მასი.

<sup>3)</sup> ჩვენ ვამბობთ გასულ წელს პარიში დასრულებულ გამოცემაზე: „Le devenir social. Revue internationale d'économie, d'histoire et de philosophie“. მიუჭკვეთ აქვე მკითხველის ურადღებას ამ შესანიშნავ გამოცემაზე.

<sup>4)</sup> თუცა იგიც უნდა მივიღოთ შესჯველობაში, რომ თავის პირველ წარბში („მეცნიერება და სარწმუნოება“) ბრიუნეტერიც გადაჭრით ამბობს, თუ ბ. კიტამ დაუკრებო, რომ ჩვენ მამაბუნებრივან მოკმდინარებოთ. (იხ. „ივერს“ № 42).

<sup>5)</sup> ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სწავლას მისწრაფებაზე, მიხსუელაობაზე.



გი (mobile) და გონიერი წესი“. აქედან დასკვნა: მასწავლებელი ყოველივე მოვლენა ბუნებაში „წინ-და-წინვე განსაზღვრული“. ამაში მდგომარეობს ბრუნ-ნეტების ევოლიუციონური მეტაფიზიკა. რა არის აქ ახალი? განა ყოველივე ამ გვარ მეტაფიზიკურ ნახტომებმა დიდი ხანია არ დაკარგეს თავისი ყოველ-გვარი არსებითი მნიშვნელობა? მაგრამ საქმე ის არის, რომ ბრუნნეტებმა იხარა აქ ერთნაირი ზომა, რომლის მეოხებით ადვილათ შესაძლებელია მრავალ-გზა-და-კვალ დაბნეულთა მოხიზლვა და გარეტიანება. ჩვენ ვამბობთ იმაზე, რომ ბრუნნეტებმა მოინდომა და, მისი ჭკუით, კადვეც შეასრულა, შეტაფიზიკე-

თავის ტელეოლოგიური პრინციპების გასამართ-ლებლათ ბუნებაში ბრუნნეტები ემყარება შესანიშ-ნავი ფიზიოლოგ-ფილოსოფოსის, კლოდ ბერნარის, ავტორიტეტზე. „განა კლ. ბერნარმა არ განსაზღ-ვრა — ამბობს ბრუნნეტები — ევოლიუცია, როგორც განვითარება, ცვალებადობა, რომლის საზღვარი წინდაწინვე დადგენილია?# და აქვე ლაპარაკს ბრუნნეტები ჯიშთა განვითარებაზე. მაგრამ ამნაირი აზრი კლ. ბერნარზე ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ბ. ბრუნნეტების ვერც ის გაუგია, რასაც კლოდ ბერ-ნარი მოძღვრებს და ვერც ევოლიუცია.

ევოლიუცია, განვითარება, არის ორნაირი: ევო-ლიუცია ცალკე ინდივიდისა, განუყოფელ არსებისა, და ევოლიუცია მთელ მოადგმათა, ჯიშთა, საზოგადო-ლო მთელ ბუნებაში. მაშინ როცა პარველ გვარი ევოლიუცია ე. ი. განვითარება ცალკე კოცხალი ინდივიდისა, ჩვენ თვალ-წინ ხედება და შესაძლებე-ლია მისი დაკვირვება, შესწავლა, და, მასწავლებელ, მისი განვითარების საზღვრის წინდაწინვე დადგენა, რა! აკვირვებლია, განსაზღვრულ პირობებში, განვი-თარება მოადგმათა, ანუ ევოლიუცია საზოგადო-ლო მთელ ბუნებაში კი, ძლიერ ნელი ნაბიჯით მიმდ-ნარეობს, ჩვენდა შეუმჩნეველათ; ამიტომ აქ შეუძ-ლებელია წინდაწინვე განსაზღვრა და დადგენა იმ საზღვრისა, რომელსაც მიახწევენ თავის განვითარე-ბაში მთელი მოადგმანი და ჯიშნი, როცა ბრუნნეტები ამბობს, რომ კლ. ბერნარმა განსაზღვრა ევოლიუცია, როგორც მიმდინარეობა, რომლის საზღვარი წინდა-წინვე დადგენილია, მაშინ მან დაივიწყა, რომ არსე-ბობს ორგვარი ევოლიუცია, და ცნობილ ფიზიოლოგს მხოლოდ ერთი ჰქონდა მხედველობაში, ე. ი. ცალკე ინდივიდის, განუყოფელი არსების, ევოლიუცია, და არა მთელი ბუნებისა. ამის დასამტკიცებლათ საქმა-რისია მხოლოდ მისი შესანიშნავი თხზულების „Le-çons sur les phénomènes de la vie“-ის გაცნობა, რომელშიაც იგი უარს ჰყოფს იმ შეზღუდულებას, ვი-თამც ბუნებაში არსებობდეს მიუწლომელი მიდრე-კილება და მიხნეულობა. ეს მხოლოდ ჩვენი მშრალი განების ნაყოფია. ყოველგვარ ამ ნაირ სურვილს ვიმეორებთ, კლ. ბერნარი მეტაფიზიკის სახელით კოცხავდა. კლ. ბერნარმა კარგათ იცოდა, რომ ნამ-დვილი მეცნიერების სამფლობელო დამოკიდებულია თვით ექსპერიმენტალური მეთოდისაგან: იქ, სადაც ცდილობენ პირობები შესაძლებელ არს, რომ სი-სწორით განსაზღვრულ იყვენ, აწყობას ექსპერიმენ-ტალური ფაქტებისაში (აუცილებლათ) და მასთანვე აწყობას შეგნაქვებზე. მეცნიერება სრულებით არ მიდევს საგნების თავის თავათ (an sich) გაცნობას; ის ცდილობს მხოლოდ განსაზღვროს და გამოარკე-



აღდგომას შეხს, ჭრისტე მტსოვარო, გუდით წმიდით ვეკებუბით, დიდვას შენდა!

მოხმასათვის ევოლიუციის საჩრლოლი დაედვა. უფრობათ, ნუ თუ ამით ძანძმა დაკარგა თავისი ძონ-ძტიო თვისება? სრულებითაც არა. თუ კადვე უფრო არ გამოაშკარავდა ეს უკანასკნელი თვისება. ასე მოუვიდა ბრუნნეტების ევოლიუციონური მეტაფი-ზიკას. ამასთანვე გამოიქვლენდა კადვე ერთი ბრუნ-ნეტებისათვის არა სასიამოვნო გარემოება.

ვიღს ურთიერთობა მათ შორის. მეცნიერება არ იღებს განცალკევებით ერთ რომელსაჲმ სავანს, ან მოვლენას; არა, ის იქცევა ისე, როგორც თვით ბუნება: ბუნებაში არ არის ცალკე სავანა, ანუ მოვლენა; აქ ყოველივე სავანი, ყოველივე მოვლენა ერთი მეორეზეა გადაბმული. ამიტომაც, თუ რომელიმე სავანის, ან მოვლენის გაცნობა გესურს, უნდა გავიგოთ ერთი სავანის, ანუ მოვლენის მეორესთან დამოკიდებულება, მათი ურთი-ერთობა. ამნაირია ნამდვილი მეცნიერების მეთოდი. სულ სხვანაირათ იქცევა მეტაფიზიკა. ეს უკანასკნელი ყოველთვის იღებს განცალკევებით ერთ რომელსაჲმ სავანს, ერთ რომელსაჲმ მოვლენას, თავის თავით an sich და ცდილობს გაიგოს იგი დამოუკიდებლათ სხვა სავანთან, ან სხვა მოვლენასთან. და რასაკვირველია, რომ ამ შემთხვევაში მეტაფიზიკს თვით მოვლენა, რო-

მელიც მუდამ ერთი და იგივე არ არის, ხელიდან უსწოტება და მხოლოდ მისი გამოწვევები, მის მიერ აღძრული შთაბეჭდილება, ურჩება, რომელსაც შემდეგ სავანის აჩსებათ ანუ იდეათ ხდის. ხოლო ამნაირი არსება, ანუ იდეა ყოველ გეარ მნიშვნელობას მოკლებულია მეცნიერულათ, რადგანაც აქ არ არის დატული უპირველესი და უმთავრესი პირობა მეცნიერული განსაზღვრისა, სახელობრი: განსიდეგა მოკლებათ ერთი შეფარსთან დამოკიდებულებაში და ურთიერთობაში. ხოლო რადგანაც ეს ურთი-ერთობანი მუდამ იცვლებიან, ამიტომ ამ ცვლილებათა პირობების სისწორით განსაზღვრა შეუძლებელია ამ პირობას, ურომლისათაც მეცნიერება შეუძლებელია.

ფ. შასტაქ.

(შეშდები იქნება)

\* \* \*

განთიადია... აღმოსავლეთი, ფერად სამოსით გარს იმოსება,— შემკრთალი მთვარე დასავლეთისკენ მთების ჯურღმულში მიიპარება.

გაღვიძებული ცელქი ნიავი ხისა შტოებსა ეთამაშება: ხან შემკრთალ ფოთოლს კოცნას მოსტაცებს, ხან კი ნაზათ მას გაფუტება.

ბუნება ჩქარობს პირის დაბანას: მზის დასახვედრათ ის ემზადება, და მის ნაბანი მაცოცხლებელათ მცენარეებსა თაგზე აღნება!

ქალამ გამოსცა საუცხოეო ხმა, ტოროლა სტეენით ცაში ავარდა; ავერ ისეკუბა ტყიდან ირემმა, ტრიალ მინდორზე გაინაფარდა.



აგერ ფუტკარი ბზულით მიჰქრის  
სანთლის და თაფლის მოსაგროვებლათ,  
აგერ ბუჩქნადა შეფრინდა შაშვი  
ხალაოცავით და საგალობელათ.

ბუნება ხარობს, ბუნება გალობს...  
მხოლოდ შავი კლდე, ქედ წაღუნული,  
ლაპა-ლუპითა ცრემლობსა აფრქვევს  
თაე-ჩაღუნული, ჩაფიქრებული.

ელის მზის სხივებს, რომ მათ შეუშრან  
გადმოხეტიალი ცრემლით ნაკადული,  
გაუბოზნ გული, ერთ დროს მდღლარე,—  
გაქვავებული ახლა ყინული!..

ასიყო.



### მესამე წლების მალაქენი

და

დღევანდელი ცხოვრება.

(თ. რ. ურსთავის თემაზეს გამო.)

IV \*)

**ს** საუკუნეში შეწყდა მუდმივი ომიანობა და  
მხედრული მდგომარეობა. ცხოვრებამ უფრო  
მშვიდი, წინარი მიმდინარეობა მიიღო. ეს კი  
საუკეთესო სარბიელია ვაჭრობის და აღებ-მიცემო-  
ბისათვის. სომხებს, ამ ნიადაგზე, როგორც უკვე გა-  
ვარჯიშებულთ; სანატრელო დრო დაუდგა. ხალხი,  
ვაჭრობას, ანგარიშს შეუწყველი, წარმოადგენდა სა-  
სურველ ასპარეზს მათი მოქმედებისას. სხვისი ოფ-  
ლით გამდიდრება ადვილი ხდება. მაგრამ ასეთ გარე-  
შობებამ რომ ნაყოფი გამოიღოს აუცილებელია ერთი  
პირობა: ქვეყანაში ფულის მოთხოვნილება უნდა  
იყოს. რაც უნდა მოხერხებული ვაჭარი იყო, თუ კი  
შენ ხელობას ფართო ასპარეზი არ აქვს, სიმდიდ-  
რეს ვერ შეიძენ. გექნება ბლომით პური, ღვინო,  
ხორცი, ყველი და სს., ხოლო ფული კი არა, და  
ლითონი არ ტრიალებს იქ, სადაც მოქმედებ, ეს  
ცოდან ხომ არ ჩამოგივარდება. სომხებს—განსაკუთ-

რებით დიდ სოცდაგრებს—გასულ საუკუნეში მეტა-  
ქონების შეძენა შეეძლო, ვინემ ამ საუკუნის პირ-  
ველ ნახევარში. რატომ? იმიტომ რომ მათ საქმე  
ჰქონდათ მეფეებთან, სასახლეებთან, დიდებულებთან.  
აქ, რაც უნდა იყოს, ყოველთვის ფულა ტრიალებ-  
და, ესენი ფულის საჭიროებდენ. მოიგებდენ ომს და  
მტერთ ფულის ბევრას დაადებდენ, 1) წააგებდენ და  
უნდა გადაეხდათ. ამას გარდა, ისინი ყიდულობდენ  
უცხოეთიდან მოტანილ ძვირფას საქონელს და სს.  
ამ საუკუნეში ყველა ეს მოიხსო. ხალხი კი ფულს  
არ საჭიროებდა. ეს კრიზისია სომხობისათვის. ეს ხა-  
ნა დიდათ არ გავრძელებულა. შრომის განვითარე-  
ბა, მისვლა-მოსვლა, სახეშეწიფო მოთხოვნილება  
ნელ-ნელა წინ-წივიდა და გამჩაღდა. მასთან ერთათ  
გზა გაიკვლია ფულმა. ამას თან მოყვა შესაფერი პო-  
ლიტიკური ცვლილება. ამას, ასე გაშინჯეთ, ლუარ-  
საბ თათქარიძეც კი მიხვდა. ის ბატონ-ყმობის გაუქ-  
მებას მის ძმას, დეიოსს, აზარლებს, ქიარზე დაჰყავს  
ურემი და მით წოდება დაამკირაო. ცხადია ეს ქირა  
ფულის ნიშნავს, რისთვისაც პატრიცეზულ თავადს  
თავისი ხარ-ურმის გაგზავნა უკადრებია. მოიხსო ბა-  
ტონ-ყმობა, გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფი, გაიხართა  
გზა-ტყევილები, რკინის გზები. ევროპიულ პირობე-  
ბში ჩადექით, ახალ ეკონომიურ გზაზე ფეხი მოვი-  
მავრეთ.

მაგრამ ნამდვილი თანამედროვე ევროპიული პი-  
რობები სასარგებლოა სომხობისათვის? პირველათ  
გაფიგოთ, რას ნიშნავს ვაჭრობაში ევროპიელობა და  
მერე, როგორ ვაჭრობს სომხობა.

ევროპიული ვაჭრობა ნიშნავს წესიერ, კანო-  
ნიერ ვაჭრობას. მოტყუება, გაიმეჩრაობა აქ არ  
აჩნებობს. საქონელი ღირს ამდენი, გსურთ მი-  
ირთეთ, გსურთ დატოვეთ, გქელი ლაპარაკი სა-  
ქირა არ არის. ვაჭარმა წინდაწინ იცის მთელი  
წლის განმავლობაში დაახლოვებით რამდენს გაყიდის,  
რამდენს მოიგებს. ცხოვრება განსაზღვრულ პირო-  
ბებშია, აქედან ამოხტობა ვასაქირაა. ყველას გარ-  
კვეული საცხოვრებელი წყარო აქვს. ფული ერთი  
ხელიდან მეორეში გადადის, მეორიდან მესამეში და  
ასე მუდამ. საიდან წარმადგება ასეთი წყობილება?  
სათავე ერთათ ერთით: ცხოვრების ღელა-ძარღვი მრე-  
წელობაა. ეს კი შრომის განაწილებაზე არის აშე-  
ნებული. არც ერთ ადამიანს არ შეუძლია იცხოე-  
როს ისე, რომ მეორისაგან რამე არ იყიდოს. აქ

1) შუშის ხანი ყოველ წლებს მეფე ერეკლეს აძლევ-  
და 120 ათას მანეთს, ერეკლეს 200 ათას მ., განჯის  
50 ათას მ. (კახაშვილის „სახარბიელის მოკლე ისტო-  
რია“ 470 გ.).

\*) იხ. კვლევა № 12.

ყველა მყიდველი და გამყიდველია. თვითონ ის, ვისაც არავითარი საკუთრება არ გააჩნია—პროლეტარი— რამეს მაინც ყიდის, ეს მისი ძალ-ღონეა. ამით ეკუთრება. ასეთ პრობლემაში ფულის ტრიალი და მასზე დადებული მოგებაც სწრაფია. ევროპის საშუალო ევპარი ერთ წელიწადს იმდენს გაყიდის, რამდენსაც ჩვენ-ბურჟუაზი წელიწადს იმა-მთხ წელიწადსაც ევრ გაასაღებს. ასეთი გარჩევა ჩვენებურ და ევროპაულ ეკუთრებას შორის. ხოლო მოგების მადა კი ყოველგან ერთი და იგივეა. ეს ყოველგან ძლიერია. ამიტომ ჩვენებური ეკუთრე უკანონო მოქმედებით, ჩარჩობით ისრულდება იმას, რასაც კანონიერი ნიადაგი აკლებს. ამის გამო აქაური ეკუთრება ჩარჩობა, მოტყუება, სიყალბეა. მთელი ერთი საათი სიჩრუეს ვეფიცება, ოღონდ კი ერთი გროში გამოტყუოს:

თუ კი ასეა დღეს, რაღა უნდა ყოფილიყო წარსულში, როცა ხალხი სრულიად გულ-აღალი და უფიცი იყო. მართალია, აქ ეკუთრების სარბიელი ძლიერი ვიწროა, მარა რაც არის, ის ერთაწათ ჩარჩობაა. ასეთ არასანატრელ საეჭპო პრობლემაში ორი ხალხი გაწრთება: ურჩები და სომხები, ექნეი იძულებული შეიქმნენ ეკუთრებით ეცხოვრებოთ; ხოლო რადგანაც წესიერი ეკუთრებით თავის რჩენა შეუძლებელი იყო, უწესო, უკანონო გზაზე უნდა დამდგარიყვნენ. ამ გარემოებამ მათში აღზარდა განსაკუთრებითი თვისებები. როცა ევროპა აღებ-მოცემობის მოედანზე გამოვიდა, მას ურჩები წინ გადაელოდნენ. ესენი ძლიერი მეტაქენი შეიქმნენ. აი, ამ დროდამ იწყება ურჩების დევნა და ათას-ნათი ცილის წაწევა. ევროპიელ ქრისტიანებმა ისე გადაეკარგეს ევროპიელ ურჩებს, რომ დღეს ეკონომიურათ წინწაწეულ ქვეყნებში (ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი) არავითარი ურჩათა წინააღმდეგი მოძრაობა აღარ არის. ურჩათა სიძულვილი, ანტა-სემიტიზმი, ძლიერია უკან ჩამორჩენილ ქვეყნებში და ისიც ისეთ პროვინციებში, სადაც სამეურნეო წარმოება (ბრუსელი, რუსეთი და სხვ.). ეკონომიურ განვითარებას ურჩები ევრ უძლებენ, პირველობას ევრ იჩენენ, რადგანაც ძველებური ხერხები გამოსადეგი აღარ არის. მათში ისტორიულათ აღორძინებულია ჩარჩული თვისებები ისეთი ძლიერია, რომ მათ ბიჯაზე მოერყვება, უშრომით, შემთხვევით გამგდირდებოა. ევროპის ბიჯები ურჩების ხელშია. მრეწველობიდან გამორეკლენი აქ აფარებენ თავს, ხოლო დღეი უმრავლესობა, წინათ წერილნი ეკუთრნი, დღეს გაპროლეტარიატებულია.

სომხები?

სომხები ჩვენში გაძლიერებულია იმ მზარებში, სადაც ხალხი ეკონომიურათ დაქვეითებულია და მ-

შასადამე ადგილი მოსატყუებელიც. მათი ზღუდე დამოსავლეთი საქართველოა. როცა სომხეს ფულის შექმნა სურს, ის მამინ სოფელში მიდის, გლეხ-კაცს ოჯახში უჯდება და ნებით, თუ უნებლიეთ სარჩოს ხელიდან აკლს. ის ფულს სოფელში შოულობს. მართალია აქაური ლითონი მას ევრ დაეკუთრებოლებს, მარა სამაგიეროთ პური და ღვინო ბევრია, რის გაყიდვა შორეულ ბაზარზე შესაძლებელიაო. მეურნე დამორჩებული ბაზრიდან დამორჩებულია ფულიდანაც. ის ჩარჩების ბრჯალებში ვარდება. ამითი სახელი ლევიონია. პატარა ქალაქების ეკუთრება ერთაწათ სომხების ხელშია. თბილისშიაც ისინი ბატონობენ, რაც ინტელიგენტ სომხებს საბუთის აძლევს ევროპაშია, იქ იღვწენ, თბილისი სომხეთის დედა ქალაქიაო. განვითარებთ ქართლ-კახეთი მისვლა-მოსვლით, მრეწველობით, აღებ-მოცემობით, განათლებით და მამინეე დიკარგვის საჩარხო ნიადაგი და მასთან ერთათ ჩარჩი სომხობა. ცხადია, ჩვენი ეკონომიური განვითარება, სრული გვეერობილება სომხებისათვის მანებელია, წესიერება მისი მეტრია. ის მხოლოათ ღვერე წყალში იტყრს თევს და მით საზრდობებს. მისი ინტერესია, ხალხი შუა გზაზე იყოს გაყინული, განვითარებული იმდენათ, რომ ფული ეკრევებოდეს, მაგრამ ისე, რომ თვითონ არ გაქალაქდეს, არ გაანგარიშდეს, ან განათლდეს და მით ჩარჩები თავიდან არ მოიშორას. ერთი სიტყვით ეკუთრნი სომხების ცხოვრების წყაროა *mediocrité est tout.*

მეტყვიან: როცა ეკუთრება ევროპიულ ხასიათს მიიღებს, სომხებიც წესიერათ იგუჯრებენ და ეს მათთვისაც სასარგებლო იქნებაო. ამის გადაჭრა დამოკლებულია შემდეგი კითხვის გარჩევისაგან: ევროპულ პრობლემაში სომხობა შეიკრჩენს კი პირველობას? ევროპიელობის დედა-ძარღვი მრეწველობა, შრომის განვითარებაა. ამა, რა მრეწველობა აღორძინებს ჩვენში სომხებმა? ვინე განვითარებს ან ვითარებენ ერის შრომას? ეს ხომ პირდაპირ მათ მოუღებდა ბოლოს. მოსიპობოდა საჩარხო ნიადაგი ერთი მხრით, და დღევანდელი წერილი ეკუთრები მუშათა რაზმში გადავიდა—მეორე მხრით. ეს კი მათთვის სასარგებლოა? სომხები რომ მართო მოქმედებდნენ, მამინ რასაკერეველია ბურთით და მოედნიც მათ დარჩებოდა. მაგრამ მათ გვერდში ამოუდღვენ ქართულენი და ძლიერ მეტოქობას უწევენ. დასავლეთი საქართველო უფრო წინ წაწეულია ეკონომიურათ ვინე აღმოსავლეთი, იქ მეტი რკინის გზებია, მეტე წარმოებაა, ნათ-სადგურები ზედ აკრავენ, ევროპა ახლოა და სხვ. ამისათვის ხალხიც უფრო გაქალაქებული, გაწრთნილი, გაანგარიშებულია. სომხები

როგორც დიდი ხნის ეპოქებში, აქ ფეხი უნდა მოეღვათ; აქ ხომ უფრო ვრცელი სამოქმედო სარბივლია, ვინემ ტეტიათა შორის, მარა სწორეთ იქ, სადაც მტკი ევროპილობაა, წაკლები სომხობაა. ბათუმში თუმცა პირველათ ჩაედინე, მიუხედავით ამისა დღეს ქართველობა ქარბობს. სინათლეში ქართველებს ვეღარ უძღვებენ.

— ამ ყმათ ჩვენში სომხობას და ქართველობას შორის სასტიკი ბრძოლაა. ამაზე ლაპარაკი არ უყვართ, ორ შემზობელ ხალხს ერთმანეთს ნუ გადავიკიდებთო. ძველებურ წესზე დგანან! რომ ეს გადავიკიდებმა ჩემგან იყოლს დამოკიდებული ამ სტრუქტურებს სრულებით არ დაეწერდი. სამწუხაროთ ეს გადავიკიდებმა შემთხვევითი და წარმავალი არ არის. მისი ფესვები ღრმით ჩაქვილია ცხოვრებაში. ცხოვრების წინაწივემ წარმოშობა ეს ბრძოლა, ეკონომიური წინააღმდეგობა და ვინც ამბობს ამას ნუ გავამხელთ, ნუ ვიტყვიეთო, გამოდის მხოლოთ უვიცობის და შეფუენებლობის მოცუქულათ. ჩვენ კი მუდამ იმ აზრის ვართ, რომ თავის თავს სიმაართე უთხრათ. გვეყოფა ისიც, რასაც სხვები გვატყუებენ, თავის თავს მაინც ნულარ მოგატყუებთ. საიდან მოდის ეს ბრძოლა?

ქართველობა ევროპის გზაზე გამოვიდა, მან ხელი მოკიდა ყველა იმ საქმეს, რასაც კი ევროპიონი მიდევნე. აქ პირველი ალაგი უჭირავს აღემიკუმობას, წარმოიებას. მაგრამ მას ამ გზაზე უკვე გამოსული სომხობა წინ გადაეღობა და, აი, აქ ისინი მაზედენ ერთმანეთს. ყოველი ნაბიჯი ქართველობის მიერ წინ გადადგმული, ნიშნავს ნაბიჯს მის მტრუქეთა მიერ უკან გადადგმულს, ასეთ ბრძოლაში და გამარჯვებაში ჩვენი კულტურული ზრდა, ჩვენი ეროვნული განვითარებაა. როგორც ზევით ვთქვიეთ, სომხობა მარცხდება იქ, სადაც ქართველობა ევროპიელდება. ესადა, ჩქარი წარმატება, გაევროპიელდება პირდაპირ ჩვენ ინტერესს შეადგენს. ყოველივე ის, რაც ავითარებს შრომას, აადვილებს მოსელამოსელას, აქალაქებს და ანათლებს ხალხს წარმოადგენს ბასრ იარაღს, რითაც უნდა ბოლო მოედოს ხალხის კისრზე მჯღამით, მისის სისხლის მწოეთ..

რატომ ქართველს ასე ეტყობება ევროპიული წესით ბრძოლა? იმიტომ, რომ ის სწორეთ, მაშინ გამოვიდა საბრძოლველათ, როცა სხვა წესები აღარ მოიპოებინა. სომხები ისტორიულათ აღიზარდენ სხვა პირობებში, მისის სხლ-ხორცეს სხვა წესები; ამისათვის დღეს ეძწელებათ ძველის დატოვება და ახალის შეთვისება. ეს მით უფრო უჭირთ, რომ მეტოქენი ამოუწნდენ და დროს არ აძლევენ ასეთ გარდაქმნისათვის, ქართველობას კი აღარ შეუძლია სხვა-

ნაირათ აღტურვა, თუ არა ევროპიულათ. თუ ამ გზას ხანდახან ცილდებმა, ეს იმიტომ რომ ახალი გზა მოსულა და ფეხი გამავრებული არ აქვს.

აი, როცა ეს პირობები წესრულდებულ იქმნებინა, მაშინ სომხობა ქართველობისათვის აღარავითარ ტვირთს არ წარმოადგენს და მათ შორის ბრძოლაც მოისპობა. სომხობის დიდი ნაწილი გაპროლეტარიატდება და ძალა-უნებურათ გვერდში ამოუდგება ქართველ მუშას, და თუ დღეს სომხობა იბრძვის კაპიტალისათვის წინააღმდეგ შრომისა, მაშინ ეს პირის იბრუნებს და გალარბებული ნაწილი ომს გამოუცხადებს მის პირვანდელ ღმერთს—კაპიტალს. როცა ეს ასე მოხდება, მაშინ ძირაანათ შეეცლება ჩვენი ეკონომიური და მოქალაქობრივი წყობილება და მასთან ერთათ ჩვენი სომხებთან დამოკიდებულება 1).

ნ. ჟორდანიას.

(შემდეგი იქნება)



ნ თ უ ი ა.

(მოთხრობა) \*



მნის ქალები შეკრებილიყვენ მადლასს, საქმეს აშურებდენ. ნახმარი ფარის კაბა სარტყელგულისპირით, თასაკრავები, ჩინტი, კაპები, ფეხ საცმეოი, საცვლები ვაშლილი იყო ტახტზე. ზოგი გადაეცეთებით, ზოგი შეეცქრათ, ზოგი დაეცქრებიათ. ქალების ხელმარდათ მუშაობას, იმათ წყნარლიდინს, იმათ ხუმრობას და სიცილს ეშხზე მოჰყავდა კაცი. ეშურებოდენ, რადგან სადილობა მოტანებული იყო, ქალი კი იმ დამეს უნდა წაყვანათ. მაგდა ჩაჯღამოდა ქარგვას და თასაკრავს კილიტას აყრიდა, თან თვალი ბუზრისკენ ეჭირა, საცა ქვაბით საქველი ჩუხჩუხებდა.

\* ის. „აჭაბო“ № 12.

1) აქ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: როცა ჩვენ აქ სომხობაზე ვასი გუქვს, სრულად სასქში არ გვეყავს მისი ინტელექტუალური და მათ უფრო ოსმალითის სომხობა, რომლის გასათავისუფლებულ მოძრაობას მიიქლი ჩვენი სიმატია ეკუთვნის. თორეთ, როცა გამოიბთ ქართველს ევროპიელება ესწრსება-თქო, ეს იმას კი არ ნაშხავს, რომ ის უკვე გავროპიელდა, ჩვენ გუქვენით მხოლოთ ტენდენციას, შადრეკელვას და არ დასრულებულ პროცესს.

მოსმა მაღალი სიცილი. ოთახში შემოვიდნენ ცალხელაანთ მართა და სფულელიანთ ეკა. მართას თავზე ხილაბანდი ჰქონდა გადაჭერილი, ხილაბანდიდან თმა გამოაბურღნოდა, ტილოს ფეშტამალი ეფარა, დაქვავებული ხელებით წინდას აშურებდა. ეკას კვი ელა პირში და ლაშებს იქნევდა.

— ბარაქალათ, ქალებო! ვისარაჯენით კიდევ ცოტა, მერე მოირთეთ და მოიკახმეთ, რომ საღამოზე დაიჩა-ნალარა გეგალოთ, მტერს თვალები დაუყუროთ, შეახალისა მართამ ქალები და მიუბრუნდა მაგდას:

— პური ამოეყარე; კიდევ კარგი ცოტა ფქვილი წერხნოდა გეგენას. სარეცხს მელანა აუთოებს. მე წავალ და ი გოგოს პირს გაუყუთებ.

— ნახეთ, თუ ჩენი პატარძალი არ დაშენდეს! ჩამოართო სიტყვა ეკამ.

— მითამ რატომო? ლამაზი გოგოა; კარგი, რომ არ ყოფილიყო, ის ბიჭი რას დაეხარებოდა? მიუგო მაგდას.

— არა, ქალი ჩენ უბნის ქალებს იმისთვის უფრო ეტანებიან, რომ საქმიანობის და ნამუსიანობის ხმა აქეთ დავარდნილი, მიუგო მართამ და ბუხართან ჩამოჯდა, მაგრამ დაცხა და მიუბრუნდა სახლის პატრონს:

— აღმაინო, ამ სიცხე-პაპანაქებაში შენ რაღას ათუხთუებ?

— ჩემმა ნუშომ რძის ფლავი მოითხოვა, გა მიკეთო. საცაა მოვა სკოლიდან.

— ნეტა ვერე არ ანებებრებდე მა გოგოს! რადროს რძის ფლავია?

— ეინა მყავს, ქა, იმის მეტი? მიუგო მაგდამ ამოხერით.

ამ დროს უცებ შემოვიდა პატარა. კობტათ ჩალიდული წულები ეცვა, წონების ნაკერი ჩანთა ეჭირა, თავზე ვარდებით მორთული შაპო ეხურა, გაქათბებული მაჯა-საყელო უჩანდა. თმა წინ შეკვერცხილი ჰქონდა, მაღალი მტკიცე შუბლი გამოასწენოდა. ბუნწულა ხელებზე ცოტა მზე მოჰკიდებოდა. დედამ გულში ჩაიკრა ბავში.

— დედილო! მომიხარე რძის ფლავი?

— ჰო, შვილო, აგერ დულს.

— დულს! დულს! მე კი მეგონა დასხულიც იქნებოდა... წიბუწულუნა პატარამ, ტუნები გამოაბურცა, კედლიცკენ მიბრუნდა და კედელს თითით ჩიჩქნა დაუწყო.

დედა წამოხტა და ქვებს შეუშარჯდა.

— სკოლაში ჩემ ამხანაგებს ყველას თათმანები აცვია, მე კი არა. დღეს ოსტატმა ხელებზე შემომ-

ხედა; მაგონია, შემატყო, რომ მზე მომიკიდებოა, უთხრა ბაქარამ ცოტა ხანს უკან.

— კარგი, საყვარელო, გიყვლი, მიუგო დედამ ამოხერით და ისევ ქარგვას ჩაუჯდა.

დედა-შვილის ლამაზაკს ყურს არაინ ათხოვებდა, ყველანი საქმეს ჩაქცროდნენ, შეჩვეული თითებით მარდათ აცურებდნენ ნემსს, მართა კი სურს უგდებდა პატარას. ბოლოს ევდარ მოითმინა და უთხრა:

— გოგო! აღარც ისე პატარა ხარ, რომ არაფერი გესმოდეს. რას ავულებ დედა შენს, ვერე რომ აწუხებ? ეერა მგდე, ნემსის წვერით ცნობერებს. გაუფთხილდა ბავს, თორემ თვალი დავიდებდა.

— შენ ეინა გკითხავს? შეუტია პატარამ და რომ ნახა ყველამ გაკეორებით შეხედა იმას, ტირილი დაიწყო.

ბავშის პასუხი იმისთვის გაუყვირდათ, რომ მართას ყველა პატრესა სცემდა, წერილფეხობას კიდევ ემინოდა იმისი. თუმცა პირდაპირი თქმა და ვასწორ-გასწორა სიტყვა იცოდა, მაინც დიდათ აუფსებდნენ იმას, რადგან იმისი გამჭირახობა და ხერხიანობა ყველამ იცოდა, იმის მაღლიან მარჯვენას არაფერი საქმე არ უძნელდებოდა, და იმის პატიოსნება საარაკოთ ჰქონდათ უბანში, — შემწილით მოკვდებოდა და არმათ კი ლუქმას არ შექამდა, — რადგან ჭირში თუ ლხინში ეს დაუღალავი დედაკაცი შეუღარებელი იყო.

მართას ეუსებოვა ყმაწვილის სიტყვა, სახტათ დარჩა, წინდის ქსოვაც კი შეწყვიტა, ჩხირებს აღარ აცოდელებდა. ბოლოს უთხრა მაგდას:

— დაისსომე, ქალო, ჩემი სიტყვა: თუ მა ბავშის გაყვინებუბას ახლავე თავი არ დაანებე, ინანებ.

დაამდა. გეგენას სახლი გაჩაღებული იყო. გურეთუნებლები მორათულიყვენ. უფროსები ფარჩის ან ტერნოს კაბებში, სუფთა ლეჩქა-თასაკრავებით გამოწყობილები, უმცროსები კობტათ შეგვირდ და ფაქიზათ შესახულ ზითის კაბებში. სიამოვნებით სახე გაბრწყინებოდათ. ერთ მხარეს პატარძალი იდგა ფარჩის კაბით, ოკრომკედით ნაკერ სარტყელ-გულისპირით, დაბასული ლეჩქათ, კილიტა და ქნეთელ შეყრილ თასაკრავით. პატარძლის გვერდით ნუშო იდგა მთლათ თეთრებით მორათული და ხელში თაიგული ეჭირა. მართას დაირა აელო, პაერში აქანებდა, რომ აგფიციტიულიყო და უყეთენი ხმა მისცემოდა, თან აქეთ-იქით იყურებოდა, თვალებს აბრიალებდა, მაგრამ დახედვრა და შესაფერი პასუხი ხომ არსად არის საქირაოა. ეინ იფიკრებდა, რომ ჰქლარბი ოჯახების ქალ რძალს მიეყარა თავი: გემოვნებით შეხამებული თაიგული იყო ეს კრება. გეგე

ნაც იქ იყო; ულვაშები შეეღებნა, წვერი მოეპარსა, კაბის მარჯვენა უტრთმაჯი მარცხნივ გადაედგო, ბუხრის ქული ჩაეტეხა; უცბო კაცს შეაკრთობდა.

III.

გახაზებულს დილა იყო, დიდი ხნის მოღორუბნოლოლი ცა მოჴმენდილიყო. კაშკაშ მზეს გარეთუბნის ტალახიანი ქუჩები გაენათებინა და აშრობდა. თავის ბუყინვალე სხივები საწყალი ხალხის სასლებშიცა შეეშუქებინა, ეგება გული გაუნათო, ეგება დანესტრანებული საღვამები ცოტათი მაინც გაუშროვო. მამ რა უნდა ექნა, როცა უმიისოთ ამოდენა საწყალ ხალხს ნესტი და სუნი ამოჴტვრდა? თანჯარების პატარა ბუნდი შუშები კი ეწინააღმდეგებოდნენ მზის ამგვარ სურვილს, არ აძლევდენ ნებას მთლათ გამოეჩინა თავისი მაკოცხლებელი ძალა. ხალხს გარეთ გამოეფინა დაობებული ტანისამოსი და ლოგინი.

მთელ გარეთუბანში მოისმოდა გაგიტებული მტკერის შხუილი. მტკვარს ერთი ათათ ემატა და ნაპირებზე მდგომი შენობების სარდაფები აეგსო. აზვირთებული მდინარე დიდძალ ნარიყს მოეზიდებოდა. ეგება მორევი მთელ-მთელ ხეებს იხევედა; იმისი მერევი ტალღები ძლიერათ ენეტებოდნენ ნაპირებს და უკანე ბრუნდებოდენ აქაფებულდენ. მდინარის ნაპირზე ხალხი შეგროვდილიყო; ზოგი ნარიყს ეჭურდა, ზოგი სვირს უყურებდა. ნარიყს ერთი გველი ჯახით ითრედა წყლიდან, სხვას თოკზე კავი მოება და ესროდა. უფრო დედაკაცობა და წერილობება ჩანდა. ფეხთ დეხანდათ, ზოგს დეკარწახება კიდევ, რადან ტალღები შორს აჩქაფუნებდენ და ფესასემელს ასეკლებდენ. ეს შრომა უფრო გართობასა ჰგავდა, სანამ მუშაობას; ერთმანეთს ებასებოდნენ, ლახზანდარობდენ, სიცოლ-ხითხითი ქაინდათ, მეტადრე როცა რომელსამე მარცხი მოუვიდოდა და მზათ დაქერილ შეშას მოტაცებდა წყალი, ან ფეხი წაუტვებოდა და მუხლამდის წყალში ჩაგარდებოდა; შეღერებული გოკოებიც იყფენ იქ; იმათ გაქაზათ ეცვათ, წყალს არიდებდენ ტანისამოს; უფრო შეშის დაწყობას ეცოლოდენ. ყმაწვილკაცებიც იყფენ. სოსანაც იმათში იყო.

სოსანას მწენე ტერნოს ახალუხის სახელოები დაღვეცა, დუგმები გაეხსნა და ვახამებული მაჯახელო უჩანდა, მხრეგამდის ვადაშლილი ხუჭუჭი თმა წყნოდა, ვაჟანტოდა. ხელში გძელ თოკზე ნამებული რკინის ბორჯლი ეჭირა და შუა მორევიდან იორედა ხეებს. არავინ არ ეკრძალებოდა ამ მთლათ წვერ-ულვაშს აძლილ ახალგაზდას, ყველა მინაურულათ უყურებდა: უბნის საყვარელი და სა-

სიამოვნო შეილი იყო ის. პატარობითე ამ უბანში იზდებოდა ცალხელაანთ მართასას. ყმაწვილმა მალე შეაყვარა თავი სახლოპატრონსაც და უბანსაც, წყნარი და მოკრძალოული ხასიათი ჰქონდა. არც არავფერს საქმეს ერიდებოდა; წყლის ამოტანა, ბაზარში წასვლა, შეშის დაჭრა, სამოვრის დადგმა, — ყველაფერსა ჰკიდებდა ხელს, ისე ირჯებოდა, როგორც სახლის ნამდვილი შეილი. თანაც თავის საკუთარ საქმეს არა მპრობობდა; იმისი ბეჯეთობა სამავალითობა ჰქონდათ უბანშიც, შკოლაშიცა, ამხანაჯს წინ არ ვიქნებოდა. პატარების საყვარელიც იყო: უბნის ბიჭები თამაშობის დროს იმას ირჩევდენ დიამბევათ, თუ მამასახლისათ, უბნის გოგონები იმას აწერინებდენ საქორწილო ბარათებს, როცა დედაფალებს ათხოვებდენ. იმასთანე მიჰქონდათ ვასამინჯათ ნაწერები, როცა ერთმანეთს წერაში შეეჯიბრებოდენ, იმასთანე მიარბენინებდენ ხილს, თუ კი ხელში ჩაუვარდებოდათ. როცა წამოიზარდა და შეიძლო, ნამდვილ ეხმარებოდა უბანს: წერილების წერა, დეპეშების ვაგზაენა, ქალაქისაგან შემწეობის გამოთხოენა დარიბებისათვის და იმისი გამოტანა, ქუჩის ყარაულებთან, თუ სხვა მოხელეებთან ლაპარაკი, როცა ისინი რამე საქმისათვის ღარიბ ხალხს ჩაუვლიდენ და სხვა ამისთანა საქმეები სოსანას ებარა, ამისთანა საქმეების გამკეთებელი სოსანა იყო. ბოლოს ზომ სახელმწიფო ხარჯზე მიიღეს ის, მაგრამ მაინც არ იფიწყებდა იმ უბანს, საცა ვაზდილიყო, ისეთი სიამოვნებით მიდიოდა თავის დედაბილის სახლში, როგორც სხვა იმისი ამხანაგები თავიანთ დედამამათან, ან ნათესაებთან. ღეთის წინაშე, სხვა რამეც კი იზიდავდა სოსანას გარეთუბნისაგან.

ახლაც პანსიონიდან ჩამოსულყო უბანში და გამაწარაივის ჰერას შეელოდა მართას. გარეთუბნელი ქალბენი, წინანდელი იმისი მეგობრები, ისეე უნაზდებოდნენ იმას, თუმცა იმათ ქვეყას ახლა მოკრძალებაც ეყობოდა: ყმაწვილოური სიახლოეე ნდომას შეემღერია და გულუბრყვილობა წაერთმია. ახლოგაზდას თვალი ეჭირა იმათკენ, მაგრამ მაინც ეტყობოდა, რომ ვინდაც აკლდა თვალში: მაღმალ იხედებოდა წყალზე ჩამოსასვლელ ბილიკისაკენ, ელოდა.

სოსანას თვლიც აკლდა თავის სიყმაწვილის მეგობარი, თავისი სატრუო ნუშო; იმას ეძებდა, იმას ელოდა. ეს ტრფიალი იმისი დიდი საიდუმლო იყო, ყველა ღონისძიებითა ჰფარავდა ამ საიდუმლოს უცხო თვლისაგან. ეს ტრფობა იყო იმისი მანუგეშებელი, გამამხნეებელი, როცა შრომისაგან დაქანცულს ხალხის ეკარგებოდა, სედა შემოაწებოდა; ეს ტრფობა იყო იმისი ამამფოთებელი, როცა გონებაში და-

ისანავდა, რა გძელი გზა ჰქონდა გასავლელი ცხოვრებაში შესვლამდის და რა ძნელი წამოსადგენი იყო, რომ იმის შეენერქ ნუშოს მანამდის არაეინ დამატრონებოდა. ეს ტრფიალი უზილაეთ თან დადედა ყმაწვილის ყველა სურვილს, ყველა აზრს ყველა მოქმედებას, გაუწყვეტლათ აშუქებდა და აზრს აღლევდა იზის ცხოვრებას. ნუშოც ატყობდა, რანაირათ უყვარდა ის სოსანას, თითონაც მოწონდა, მაგრამ ყმაწვილგზს ერთმანეთისათვის ეს არ უთქვამთ; ის კი იყო, რომ ქალი ძალიან ენაზებოდა ყმაწვილს.

წყალმა ჩამოატარა მთელი ხე თავის ტოტებთანჯირკეზბანათ, ეინ იცის, რომელ ქალში მოგვლიჯნა ის ნილაჯრს. მოჩვევა რამდენჯერმე მიძიმეთ მოატრიალა ის და ჩაიხვია.

— აბა, სოსან, თუ ყოჩალი ხარ, იმ ხგს არ გაუშვებ, უთხრა ყმაწვილს მართამ.

— ცოტა შორს არის.  
— სცადე, მარჯვე ხელი ვაქვს; აფსუსია, რომ წილოს, შიგნალისა ეყამ.

— ალაღებდზე კი ნუ გადააკდებ კავს, ეისიმე ბედზე ესროლე, ამ ქალებში ჩაიუქრე ეინმე გეუხუმრა მავდა.

მავდას სიტყვებე ყმაწვილკაცი ყაყაოსავეით აწითლდა. რიგეა მოეწონა, მაგრამ იქ მყოფ ქალებთავანი კი არაეინ ჩაიფიქრა.

— ჩემი ნუშოს იღბალზე! — თქვა გულში, აიკეცა თოკი, კავი მოიძარჯვა, და დაუწყა მანძილს თვალთ ზომევა.

გ. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

სახტემარო ვასართობი.

„იერიის“ № 15-ში არის ერთი ახალი ამბავი დასტამბული. რადგან ამ ამბის ენა დასტილი ვანსხევებულია, პროგრესულია, ამისთვის ეფიქრობთ ეს ამბავი თეთ ცნობილი პედაგოგის იაკ. გოგებაშელის კლამს უნდა ეკუთვნოდეს. ამ სახით ჩვენს უაღმატებულეს პედაგოგს ბ-ნ ი. გოგებაშელის გამოუცხადებია, რომ მის დედა-ენას ამ ფამათ ასურათებს ორი „სულგონიგა“ და გამოვა „მეტრომეტე“ (?) გამოცემათ. ასეთი განცხადებით მათს უაღმატებულესობას პედაგოგს შემოაქვს ახალი პროგრესული ხანა ქართული ენისა. ესევე განცხადებდა გვაუწყებს, რომ ამიერიდან მისი სიტყვიერების დედა-ენა ქართული მუხიკის დედა ენათაც ხდება, რადგან ამავე „მეტრო-

მეტე“ გამოცემაში მას სურს მოათავსოს კახური, ქართული, იმერული, გურული, მეგრული და სხვა-ნური სიმღერები, ნოტებზე გადაღებული. აღმათეს ნოტებზე აღმატებული პედაგოგის შეთხზული იქნება.

შუქაროვ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლის.

ქართული თეატრი

სამშაბათს, 26 მარტი 1896 წ.

ქართული თეატრის სცენარეულის ა. თაბაჩიშვილის სსარგებლოთ.

ქართული სცენის მოყვარებან წარმოდგენილი იქნება

I

სურამის ციხე

ისტორიული დრამა 3 მოქმ. და 4 ხერათათ ვაქოე და მისისხაყან.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. მწუვლოვას, მისეი, ლაისა, ვაშვილის, ვაფარბიძის და სხვ. ბბ. საშველ მნელაშვილი, თაბაჩოვი, შუქარევი, ინსანოევი და სხვ.

II

ახირებულნი

ვოდევილი 1 მოქმედებით ნ. ბ. ეიფიანისა.

დასასრულ

ბ. რატილის ხორია

იმღერებს სხვა და სხვა სიმღერებს.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

შუქარევისათვის ადგილები ღოკებას უჯან რმ კპ დასაწყისი სურამი 8 1/2 საათში

შინაარსი: ადგომას ღვექი-კისა. — საადგომი სურათები ვოქაისი. — სხვა-და-სხვა ამბებ. — საყურადღებო ამბები. — შინაშენ დეტე მეგრულსა. — შეენიგებო გავტრდა, თუ მეტაფიზიკა ფ. მახარაძისა. — \* ღვექის ისტორია. — შენაშენ წლებს მოღვეწენი და ღვექანელი ცხოვრება (გავტრდავს) ნ. შურდანიასი. — ნუში მოთხრობა გ. ბარნოვისა. — სახტემარო ვასართობი და ვერძო განცხადებანი.

„ჯეჯილის“ მესამე ნომერი მარტის თვესა უკვე გამოვიდა და ღურიგდება ხელმის მიმწეროლებს.